# ადრეული შუა საუკუნეების ანტეფიქსების ნაკლებად ცნობილი სახეობები

**მაგისტრანტი სოფიო ბაზალი**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე არქეოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: არქეოლოგია

**სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ნოდარ ბახტაძე**

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2025 წელი**

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიო ბაზალი

ივნისი 2025

# აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანი იყო საქართველოს რეგიონ კახეთში, ყვარლის მუნიციპალიტეტში მდებარე ნეკრესის ნაქალაქარის ტერიოტორიაზე და მის შემოგარენში დადასტურებული ადრეული შუა საუკუნეების პერიოდის ეკლესიების მორთულობის ელემენტების, ანტეფიქსების ნაკლებად ცნობილი სახეობების  შესახებ ცნობადობის ამაღლება სამეცნიერო საზოგადოებრიობაში. ნაშრომში მოცემულია ნაგებობათა ამ არქიტექტურული ნაწილების დეტალური აღწერა, ანალიზი,  მათი ფუნქციური დატვირთვის განხილვა  და ქრონოლოგიურად განსაზღვრა. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ  ეს არის საეკლესიო შენობების სახურავის სამკაული, ელემნტი რომლესაც ადრეული შუა საუკუეების ქართულ არქიტექტურაში დიდი მნიშვლენობა ენიჭებოდა. ნაშრომში წარმოდგენილია  სხვადასხვა ტიპის ანტეფიქსების შედარება, აღწერა, კლასიფიკაცია რეგიონალური თავისებურებებით, სტილით, ორნამენტიკით.

მნიშვნელოვანია ანტეფიქსების შესწავალა და კვლევა როგორც არქიტექტურული კუთხით, ასევე არქეოლოგიური კუთხით მათი. ნაშრომში, ყურადღება ეთმობა ანტეფიქსების კავშირს რელიგიასთან, ქრისტიანობასთან, როგორც ქრისტიანული შინაარსის მატარებელ ელემენტებს. ასევე საყურადღებოა მათი რელიეგური გამოსახულებები და ტექსტუალური ხასიათი. ანტეფიქსების აღწერა, გაანალიზება და ტიპოლოგია, ძირითადად ეფუძნება კონტენტანალიზს, სხვადასხვა ლიტერატურის გაცნობას, არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიშების, მონოგრაფიების, სტატიების, ნაშრომების დამუშავებით.

**საძიებო სიტყვები:** ადრეული შუა საუკუნეები, ანტეფიქსები, კახეთი, ნეკრესი, არქიტექტურა, არქეოლოგია.

# Abstract

The aim of the work to analyze, describe and discuss the lesser-know types of early medieval antefixes found in the Georgian region, specifically in the territory of the city of Nekresi in Kakheti and its surrounding, as an architectural part of the building and this functional load, as well as a roof ornament, an element the was of great importance in Georgian architecture of early Middle Ages. It is important to compare, describe and classify them according to regional features, style and ornamentation. It is important to study and archaeologic perspective. The work focuses on the connection of antefixes with religion, Christianity, as element carrying Christian content. Their religious images and textual character are also noteworthy. The description analysis and typology of antefixes are mainly based on content analysis, familiarization with various literature and processing of archaeological work reports, monographs, article and papers.

**Search words:** Early Middle Ages, antefixes, Kakheti, Nekresi, architecture, archaeology.

# მადლობა

მადლობა ჩემს სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელს, პროფესორ ბატონ ნოდარ ბახტაძეს, კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისთვის, კონსულტაციებისთვის, მხარდაჭერისთვის, რომელიც გადამწყვეტი იყო ნაშრომის წარმატებით შესრულებისთვის.